საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

GRASS
REFORMANDA
აიმ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 273
თარიღი: 23 09 2014 წ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)"
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი მიმდინარე წლის 15 სექტემბრის (# 617) წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემული თანხიდან დანამატი შეადგენდა 163.1 მლნ. ლარს, ხოლო პრემია კი - 135.7 მლნ. ლარს. რაც შეეხება 2013 წელს, აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეადგინეს: დანამატი - 125.1 მლნ. ლარი, ხოლო პრემია - 124.1 მლნ. ლარი.
სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემული თანხებიდან დანამატის 38 მლნ. ლარით, ხოლო პრემიის საერთო მოცულობის 11.6 მლნ. ლარით შემცირება გამოიწვია საქართველოს პრემიერ მინისტრის 2013 წლის 15 მარტის # 53 ბრძანებამ „საქართველოს მინისტრებისათვის (სახელმწიფო მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების შესახებ", რომელმაც მინისტრებს დაუწესა და შეუმცირა სახელფასო დანამატის ზღვარი, რაც შემდგომ აისახა მთელ სახელმწიფო ვერტიკალზე პრემიებისა და დანამატების გაცემის პროცესის მიმდინარეობისას.

პატივისცემით,

ნინო კობახიძე
საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

№31925
19.09.2014